

ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული/- #6 (16) 2026

<https://doi.org/10.52340/ijaamr.2026.6.16.30>

გმირი ქალები - გამოფენა-კვლევა ქალთა მოდისა და როლის შესახებ მეორე მსოფლიო ომის დროს

ეკატერინა კენიგსბერგი

საკვანძო სიტყვები: გამოფენა, კურატორი, კვლევა, იაარა კეიდარი, მეორე მსოფლიო ომი, მოდა, ჰოლოკოსტის დიზაინის მუზეუმი.

2025 წლის 31 მარტიდან 2026 წლის იანვრამდე ჰოლოკოსტის დიზაინის მუზეუმში (ისრაელი) გაიმართა იაარა კეიდარის კურატორობით ორგანიზებული გამოფენა-კვლევა სახელწოდებით „გმირი ქალები“ (Heroines). კურატორი მოდის ისტორიისა და სამოსის კულტურის განვითარებას მეორე მსოფლიო ომის კონტექსტში განიხილავს. იაარა კეიდარი მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდა ნარატივებს იმის შესახებ, თუ როგორ იქცევა მოდა და სამოსი ადამიანებისთვის ძალისა და შინაგანი გამძლეობის წყაროდ ცხოვრების ყველაზე მძიმე და ბნელპერიოდებში. გამოფენა „გმირი ქალები“ (Heroines) წარმოადგენს ავტორის მრავალწლიანი შრომის შედეგს.

იაარა კეიდარის კურატორობით განხორციელებული გამოფენა „გმირი ქალები“, რომელიც ჰოლოკოსტის დიზაინის მუზეუმში (ისრაელი) გაიმართა, მეორე მსოფლიო ომის ისტორიულ ტერიტორიაში იკვლევს მოდისა და სამოსის განვითარების პროცესებსა და მათ სოციალურ მნიშვნელობას. „მეორე მსოფლიო ომის თემისადმი მიძღვნილი გამოფენის კურატორობა, განსაკუთრებით კი ორი ებრაელი მოდის დიზაინერის ისტორიის წარმოჩენა, რომელთა ბედიც გადაჯაჭვულია ჰოლოკოსტთან, უჩვეულო წამოწყებაა კეიდარისთვის (რომელიც თავად გახლავთ ჰოლოკოსტის გადარჩენილთა შვილიშვილი). წლების განმავლობაში იაარა აგროვებდა ომთან დაკავშირებული მოდისა და თავის მოვლის ნივთების შთამბეჭდავ კოლექციას. იგი ასევე ესწრებოდა აუქციონებს, იძენდა ნივთებს eBay-ზე და თავს უყრიდა ამ ნიმუშებთან დაკავშირებულ ისტორიებს“, – წერს ოფირ ჰოვა-ვი გაზეთში Haaretz. „გამოფენაში „გმირი ქალები“

გამოყენებულია „ქალების“ თემა, რომლის გარშემოც ერთმანეთთან არის ჩაქსოვილი სხვადასხვა თხრობითი „ძაფი“, პიროვნების და ისტორიის დიზაინთან დაკავშირებული და ადამიანური ამბები“.¹

როგორც მეორე მსოფლიო ომამდე, ისე მისი დასრულების შემდეგ, ქალები ამზადებდნენ იმპროვიზებულ ტანისამოსს, აქსესუარებს და სამკაულებს ყველაფრისგან, რაზეც მათ ხელი მიუწევდებოდათ. მოდამ წაახალისა შემოქმედებითი წვა და იქცა ემოციების გამოხატვის, გზავნილების მიწოდების, შეშფოთების გაზიარების და ღრმა გაურკვევლობის გადალახვის საშუალებად. ამ ობიექტებში ჩაქსოვილია ადამიანის სულის ძალა. მუზეუმში გამოფენის შემდეგ ისინი იქცნენ შთაგონებისა და ნუგეშისცემის წყაროდ, რეალობასთან შესარკინებლად აუცილებელი სიმტკიცის და უკეთესი მომავლის იმედის მომცემად. იაარა კეიდარი წლების განმავლობაში ეძებდა და იკვლევდა

1 HOVAV, Two Stylish, 2025.

ისტორიებს იმის შესახებ, თუ რა ძალის მინიჭება შეუძლია მოდას და სამოსს ყველაზე მძიმე დროს. ადამიანური ღირსების შენარჩუნების სურვილმა, ხშირად უიმედო სიტუაციებშიც კი, გამოხატულება ჰპოვა საზრიანობაში, ინიციატივის გამოჩენასა და გამბედაობაში, ანუ ისტორიებში, რომლებიც სხეულს სიმტკიცეს ჰმატებენ, ხოლო სულს იმედს უღვივებენ. „ჩემი ოჯახის ისტორია ყოველთვის მაფიქრებდა, რომ ჩემს სფეროს მეორე მსოფლიო ომის თემასთან არანაირი შეხება არ აქვს, ამბობს კეიდარი, მაგრამ ცხოვრებამ საუცხოო გმირი ქალების თავგადასავალში ჩამითრია, რომელთათვის მოდა და სამოსი კაცობრიობის ურთულეს ჟამს გადარჩენის და ოპტიმიზმის წყაროს წარმოადგენდა“.²

გამოფენა „გმირი ქალები“ ურთიერთდაკავშირებული თემატური ნაწილებისგან შედგება. „გადავწყვიტე, თავი მომეყარა ისეთი ისტორიებისთვის, რომლებმაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩემში გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი ჰოლოკოსტისა და მეორე მსოფლიო ომის მიმართ და მათი მეშვეობით მომეთხრო ქალთა გმირობის ამბები, რომლებიც სამოსის, მოდისა და გარეგნობის დახმარებით ინარჩუნებდნენ ოპტიმიზმსა და ადამიანურობას უკიდურესად უიმედო, სასტიკ პირობებშიც კი“, – ამბობს კურატორი იაარა კეიდარი.³

ჰოლოკოსტიდან კონსტრუირებული ისტორია

გამოფენა იწყება სხვადასხვა ეკრანზე გაშვებული კინოქრონიკით. შემდეგ დამთვლიერებლები კიბის მეშვეობით ჩადიან ატელიე Strnad-ისკენ, რომელიც 1939 წელს მდებარეობდა პრაღის ერთ-ერთ გადატვირთულ ქუჩაზე და ითვლებოდა მოდის უპირობო ცენტრად. პირველი სექცია სახელწოდებით „ჰოლოკასტიდან კონსტრუირებული ისტორია“ ეძღვნება მოდის დიზაინერის – ჰედვიგ (ჰედი) სტრნადის ისტორიას. 1930-იანი წლების ბოლოს პრაღა ითვლებოდა მოდის ცენტრად, ხოლო ჩეხოსლოვაკიელი ებრაელები ამ მხრივ გამოირჩეოდნენ თავიანთი ხელობით. 1939 წელს ორმოცი წლის ჰედი სტრნადი სათავეში ედგა ბუტიკსა და ატელიეს პრაღაში. მისი დიზაინები გამოირჩეოდა დახვეწილი სტილით და დიდი მოთხოვნით სარგებლობდა. ჰედის დიზაინები არა მხოლოდ პასუხობდა საერთაშორისო ტენდენციებს, არამედ

ასევე ინარჩუნებდა უნიკალურ ადგილობრივ ესთეტიკას.

გამოფენის იდეა გაჩნდა ერთი საოცარი ამბის მოსმენის შემდეგ. მილუოკის შტატში ერთ-ერთი ებრაული ოჯახის სარდაფში აღმოაჩინეს 1939 წელს ჩეხოსლოვაკიიდან გაგზავნილი წერილი, რომლის კონვერტზეც დატანებული იყოს სვასტიკა. წერილის ავტორია პოლ სტრნადი, რომელიც მეუღლესთან ერთად ცდილობდა, გაქცეოდა ომის საშინელებს და თავისი ოჯახისგან აშშ-ში ითხოვდა დახმარებას. ამ წერილში სტრნადი აღწერს პრაღის პირქუშ რეალობას და ითხოვს ხელშეწყობას ამერიკული სამუშაო ვიზის მოპოვებაში. მან წერილს ასევე დაურთო რვა დიზაინის ესკიზი, რომლებიც მეტყველებდა მისი მეუღლის, მოდის დიზაინერის – ჰედი სტრნადის ნიჭზე, და ასევე საოჯახო ფოტო. სამოც წელზე მეტი დასჭირდა ვიდრე ეს წერილი აღმოჩენილი იქნებოდა და გადაეცემოდა მილუოკის ებრაულ მუზეუმს. ექსპერტების ჯგუფი შეუდგა მისი ისტორიის და დიზაინის ესკიზების აღდგენას. ჰედის ილუსტრაციებში იგრძნობა ნიჭიერება, პერსპექტივა და ასახულია მტკივნეული შესხენება სამუდამოდ დაკარგული სიცოცხლისა და უზარმაზარი ნიჭის შესახებ. სამწუხაროდ, სტრნადებმა ვერ მოიპოვეს ვიზა და ჰოლოკოსტს ემსხვერპლნენ.

გამოფენისთვის მზადების პროცესში მოულოდნელად აღმოაჩინეს ჰედის მიერ ხელმოწერილი გზავნილი, რომელიც შემდგომში იქცა მნიშვნელოვან დეტალად ექსპოზიციის ფარგლებში. მილუოკის ებრაულ მუზეუმმა ჰედის ხელმოწერა აქცია აბრეშუმის გრძელ ეტიკეტად, რომელიც სიმბოლურად ასახავს დიზაინერის სტილს მისი სტუდიის პიკზე ყოფნის პერიოდში, ანუ ხელმოწერის საფუძველზე შექმნილ ლოგო. ეს ნაქარგი ლოგო მისი ხელმოწერით ჩაქსოვილია რვავე ხსენებული ესკიზის ინტერიერში, რომლებიც აღდგენილია 1939 წლის წერილის შიგთავსის ჩანახატების საფუძველზე. გამოფენილი მოდის ანსამბლები ზუსტად იმეორებს ჰედი სტრნადის დიზაინებს. თითოეული სამოსი, დაწყებული სარჩულით თუ დახვეწილი ნაკერებითა და დამთავრებული ღილებით თუ სილუეტების ჩრდილებით – ყველა დეტალი შექმნილია 1930 წლებში პრაღაში არსებული მასალებითა და მეთოდებით, ხოლო ყველა აქსესუარი შეესაბამება ხსენებულ პერიოდს. ამ დიზაინებით

2 STEINBERG, Fashion, 2025.

3 HOVAV, Two Stylish, 2025.

ავტორი პატივს მიაგებს ტრადიციულ სტილებს, იმავდროულად იყენებს რა იმ პერიოდისთვის დამახასიათებელ ჭრა-კერვისა და მოდის მეთოდებს. ყალიბები ხელითაა შექმნილი და დატანებულია ქსოვილზე ტრაფარეტული ბეჭდვის ორიგინალური ტექნიკით. გრაციოზულ პოზებში მდგომი მანეკენები, გამოწყობილნი ელეგანტურ კოსტიუმებში, კაბებში, პალტოებსა და ქუდებში ნელა ბრუნავენ საკუთარი ღერძის გარშემო მოძრავ წრიულ პოდიუმზე, რომელიც სკამებით არის გარშემორტყმული და დამთვალიერებლებს შესაძლებლობას აძლევს იხილონ დიზაინები უწვრილეს დეტალებში. ექსპოზიციამდე გამოტანილი ვერცხლისფერი საღამოს კაბა მთლიანად შემკობილია გაფურჩხნული წითელი ვარდებით, ზუსტად ისე, როგორც ოდესღაც მათ შექმნაში პოლ სტრნადი ეხმარებოდა თავის მეუღლის ატელიეში. ოჯახისადმი წერილში პოლი აღწერს იმ სირთულეებს, რომლებსაც იგი წააწყდა სამუშაოს ძებნისას. შედეგად, იგი შეუერთდა ჰედის გუნდს და აბრეშუმისგან ქმნიდა ხელნაკეთ ყვავილებს. ხელნაწერი ლოგო მოხდენილად მოჩანს კაშკაშა ლურჯი მატერიის ფონზე, რომლის ერთი კიდე გადაწეულია მანეკენის ხელის მეშვეობით. იგი თითქოს არაფრისგან ქმნის მოგონებებს, რითაც უბრუნებს ჰედი სტრნადს იმას, რაც მას ოდესღაც წაართვეს – საკუთარი ნამუშევრების ხელმოწერის უფლებას.

სამკერვალო ატელიეს ფრაგმენტების, ჰედი სტრნადის სამუშაო გარემოს რეკონსტრუქცია, დიზაინერის ორიგინალური ესკიზების ასლები, სამკერვალო თარგები, ქსოვილების რულონები, სარკეები და იმდროინდელი კინოქრონიკის კადრები დამთვალიერებელს დროის მიღმა მოგზაურობისა და იმ ეპოქის ატმოსფეროს უშუალოდ განცდის შესაძლებლობას აძლევს. მოდის ეს გამოფენა აცოცხლებს ულმისეულ ილუსტრაციებს, თუმცა ეს ასევე, არის ქსოვილით შექმნილი მონუმენტი. სამოსი განასახიერებს ისტორიულ უფსკრულზე ხიდის აგების ადამიანურ და საზოგადოებრივ საჭიროებას. ჰედი სტრნადის დიზაინი ასახავს მოდის უნარს, დაიჭიროს მომენტი და შეინახოს მოგონება, ასევე გამოამჟღავნოს სამოსის თვისება, გასცდეს დროის ფარგლებს, იქცეს თავისი შემქმნელის სულის მატარებელად და, თუნდაც წამიერად, ახალი ცხოვრება შთაბეროს მას.

ჯარისკაცები იარაღის გარეშე

„ჯარისკაცები იარაღის გარეშე“ წარმოადგენს გამოფენის მეორე ბლოკს. მეორე მსოფლიო ომის დროს ზოგად ატმოსფეროს გავლენა ჰქონდა ყოველდღიური ცხოვრების წესზე და ამ კონტექსტში პატრიოტულმა მოდამ უპირატესობა მოიპოვა. ითვლებოდა, რომ მოვლილი იერი და კარგი ჩაცმულობა მნიშვნელოვანია ეროვნული მორალის ასამაღლებლად. კვების რაციონებისა და გაჭირვების მიუხედავად, იმართებოდა თავის მოვლის კამპანიები, ხოლო მწარმოებლები აგრძელებდნენ ელემენტარული კოსმეტიკისა და მოდის აქსესუარების წარმოებას. წითელი ტუჩის საცხი, რომელიც იქცა წინააღმდეგობის, გამარჯვებისა და პატრიოტიზმის სიმბოლოდ, წარმოადგენს გამოფენის ერთ-ერთ საკულტო ექსპონატს. 1940-იანი წლების დასაწყისში ელიზაბეტ არდენმა გამოუშვა კაშკაშა წითელი ტუჩსაცხი, რომელიც ეხმარებოდა ამერიკელი ქალების სამხედრო უნიფორმებზე არსებულ განმასხვავებელ ნიშნებს. ამ უნიკალურ საცხთან ერთად ქალ სამხედროებს დაურიგდათ წითელი პუდრი და ფრჩხილის ლაქი. წითელი ფერი უმაღლეს შემოვიდა მოდაში და ახლა რიგითი მოქალაქე ქალები ითხოვდნენ მსგავს პროდუქციას, რის პასუხადაც ელიზაბეტ არდენმა შექმნა Victory Red, განკუთვნილი ყოველდღიური მოხმარებისთვის, რითაც ქალები გამოხატავდნენ სოლიდარობას და პატრიოტიზმს.

ფრონტის წინა ხაზზე მამაკაცთა საყოველთაო მობილიზაციის შედეგად ქალებმა დაიკავეს მათი ადგილი მძიმე და თავდაცვის ინდუსტრიაში, რამაც გააჩინა კიდევ ერთი მოთხოვნა. მათმა გამოჩენამ ქარხნებში და შეიარაღებულ ძალებში ყველაფერი შეცვალა: ქალებმა დაიწყეს უნიფორმების ტარება. ჰუმანიტარულ და მოხალისეთა ორგანიზაციებში აშკარა გახდა, რომ სამოსელს ღრმა ემოციური დატვირთვა მიენიჭა რამეთუ აღძრავდა კოლექტიურ სიამაყეს. მძიმე ინდუსტრიაში ახალი თანამშრომლებისთვის დანერგეს სათანადო პირობები, რათა ხელი შეეწყობა ქალებისთვის, რომლებსაც შეეძლოთ საერთო საქმეში წვლილის შეტანა და, ამავე დროს, შეენარჩუნებინათ ქალურობა და მაღალი მორალური სტანდარტები. კაცების შარვლებისა და კომბინიზონების ნაცვლად შემუშავდა ქალის სხეულზე მორგებული ახალი სტილი. პუდრი, ტუჩის საცხი და სხვა კოსმეტიკური ნაწარმი ხელმისაწვდომი გახდა ქარხნების გასახდელებში. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იყო სპეციალური საცხები საშიში ნივთიერებებისგან თავდასაცა-

ვად. იქმნებოდა აქსესუარები პატრიოტული გზავნილებით, რომლებშიც ხაზგასმული იყო ეროვნული იდენტობა და მხარდაჭერა ომში გაწეული ძალისხმევის მიმართ. მოდის აქსესუარები შეღებილი იყო დროშის ფერებში, ხოლო სხვადასხვა სამოსელს ამშვენებდა ასო V სამხედრო ემბლემების შუაგულში. ვარცხნილობის სტილი Victory Roll, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა პრაქტიკული მიზნით და განასახიერებდა საბრძოლო თვითმფრინავის მანევრს გამარჯვების აღსანიშნავად, მალე პატრიოტიზმის სიმბოლოდ იქცა.

მეორე მსოფლიო ომის დროს შუქშენიღების ტაქტიკა ბრიტანეთში იქცა ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად. სამოქალაქო და სამხედრო ობიექტების დაბომბვის თავიდან ასაცილებლად ღამე ქუჩის განათება და ელექტრონული აბრები ითიშებოდა, მანქანის ფარები დაბურულ რეჟიმზე გადაჰყავდათ, ხოლო სიგარეტზე ცეცხლის მოკიდება აკრძალული იყო. გამოინახა ორიგინალური გადაწყვეტილებები მოქალაქეთათვის ომის პერიოდში ყოველდღიური ცხოვრების გასაგრძელებლად: სამოსზე აკერებდნენ მანათობელ ღილაკებს, მუქი ფერის სამოსი ჩაანაცვლა ღია ფერის ტანსაცმელმა, ხოლო სიბნელეში მოკიაფე აქსესუარები ეხმარებოდნენ მძღოლებს ფეხით მოსიარულებთა დანახვაში. ლონდონის სუპერმარკეტში Selfridges იყიდებოდა შესაბამისი ქინძისთავები, პალტოები, ქუდები და ძაღლის სამოსი. ბრიტანეთის ხელისუფლება ახალისებდა ამ ნივთების შეძენას და წამოიწყო კიდეც კამპანია „ნათელი იდეა სიბნელეში“. ერთ-ერთი მაღაზიის ჩაბნელებულ ვიტრინაში დღემდე შემორჩა ომის პერიოდის შესაბამისი მეთოდების სია.

არმიის მხრიდან ნედლეულზე მზარდმა მოთხოვნამ გავლენა იქონია მოდის ინდუსტრიაზე და გამოიწვია ისეთი საბაზისო მასალების დეფიციტი, როგორებიცაა ტყავი, ქსოვილები და ნეილონი. ქალებს შიდა ფრონტზე უწევდათ შემოქმედებითი მიდგომებით ხელმისაწვდომი მასალებისგან მაქსიმალურის შექმნა: იმპროვიზებული ჩანთების შეკოწიწება ტელეფონის სადენების გამოყენებით და ლაცკანის გულსაბნევებისა და ყელსაბამების შექმნა ფერადი ელექტრონული მავთულებისგან. მოდურ ნივთებზე მაღალმა მოთხოვნამ განაპირობა ხელნაკეთი საიუველირო ნაწარმის შესახებ პოპულარული სახელმძღვანელოების გამოცემა. ამერიკის დროშის ფერების: წითლის, თეთრისა და ლურჯის მოხმარებამ პრაქტიკული აქსესუარები აქცია პატრიოტულ სიმბოლოებად და სიამაყის

მიზეზად. ტყავის დეფიციტმა გამოიწვია ფეხსაცმლის ნაკლებობა, რომელიც, როგორც შეუცვლელი და გამძლე პროდუქცია, განსაკუთრებით საჭიროა სუსხიან ზამთარში. 1943 წლის თებერვალში აშშ-ის მთავრობამ შემოიღო რაციონის სისტემა, რომლითაც ფეხსაცმლის შესყიდვა წელიწადში მხოლოდ სამჯერ იყო შესაძლებელი. შემდგომში, ნედლეულის მოხმარების კიდეც უფრო მეტად შეზღუდვის მიზნით, დაწესდა ფეხსაცმლის ქუსლის სიმაღლის, ფერის და ჩექმების სიგრძის სტანდარტები. ამის საპასუხოდ მწარმოებლებმა დაიწყეს უფრო ხელმისაწვდომი მასალების გამოყენება: პლასტმასა, საფეიქრო ნაწარმი, კორპი და ხე, რითაც ქმნიდნენ ტყავის ფეხსაცმლის ალტერნატივას, რომლის დიზაინი უფრო მრავალფეროვანი და პრაქტიკული იყო და შემდგომში იქცა კიდეც ეპოქის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ.

მეორე მსოფლიო ომის დროს მოდის ინდუსტრიის რესურსები გადატყორცნეს სამხედრო წარმოების გასაძლიერებლად. პარაშუტები, რომლებსაც წარსულში აბრეშუმისგან ამზადებდნენ, ახლა იკერებოდა ნეილონისგან, 1930-იანი წლების ბოლოს ფირმა DuPont-ის შექმნილი სინთეტიკური ბოტკოსგან, რამაც ნამდვილი რევოლუცია გამოიწვია საფეიქრო ინდუსტრიაში. ნეილონი კი, როგორც აბრეშუმთან შედარებით უფრო გამძლე, წელვადი და იაფი მასალა, გამოიყენებოდა ბევრი ქალისთვის ხელმისაწვდომი მაღალყელიანი წინდების წარმოებაში. მილისებრი ნეილონისგან ნაქსოვ წინდებს აგვირგვინებდა მაღლივი ნაკერი უკანა მხარეს, რაც იქცა მთავარ მახასიათებლად ფეხის სასურველი სილუეტის ხაზგასასმელად და ქალური ელევანტურობის სიმბოლოდ. რადგან ნედლეული სამხედრო წარმოებისთვის იყო განკუთვნილი, ნეილონის წარმოება სამოქალაქო სექტორისთვის შეჩერდა. შედეგად, ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტი ქალებისთვის – ნეილონის მაღალყელიანი წინდები გაქრა მაღაზიების თაროებიდან, რამაც გამოიწვია ახალი ესთეტიკური ალტერნატივების გაჩენა. ქალებმა მიაგნეს ახალ შემოქმედებით გზებს პრობლემის გადასაჭრელად: დაიწყეს ფეხების გაპარსვა, ისვამდნენ სხეულის საღებავს წინდების ტარების ნაცვლად და წარბის ფანქრით ფეხებზე იხაზავდნენ არარსებულ ნაკერს მაღალყელიანი წინდის ილუზიის შესაქმნელად. აქსესუარებს გამოფენის ამ სექციაში ახლავს შესაბამისი რეკლამები 1940-იანი წლების პერიოდული გამოცემებიდან.

ცხოვრებისეული ნივთები: იად ვაშემის კოლექციიდან

გამოფენის მესამე ნაწილი: „ცხოვრებისეული ნივთები: იად ვაშემის კოლექციიდან“ მოიცავს საკონცენტრაციო ბანაკებში გადარჩენილთა ისეთ პირად ნივთებს, როგორიცაა, მაგალითად, ჰოლოკოსტში გადარჩენილი მარგიტ ზინგერის სათითო, რომელიც გადაურჩა ომს სწორედ მკერავის უნარების წყალობით, ასევე 1944 წელს რაიხენბახის ბანაკში მარგო ფინკის მიერ რკინის მავთულისგან შექმნილი სავარცხელი, სიმა რუბენშტაინის მიერ ელექტროსადენებისგან შექმნილი ქამარი რავენსბრუკის ბანაკში, პურისგან გაკეთებული კულონი, რომელიც ჰანა ფრენკლს მეგობრებმა შრომით ბანაკში აჩუქეს მისი 21-ე წლისთავის აღსანიშნავად, რომა ალტერის მიერ შექმნილი თოჯინა: 1942 წელს ალტერი ჯერ დეპორტირებული იქნა ვარშავის გეტოდან, შემდეგ გამოიარა ოსვენციმი და რავენსბრუკი. ბოლოს კი, 1945 წელს, იგი გაათავისუფლეს და გააგზავნეს შვედეთში რეაბილიტაციის მისაღებად. თოჯინები გამოყენებული იყო რეაბილიტაციის პროცესში ტრავმის დასაძლევად. ალტერის თოჯინას გამოფენის ფარგლებში აცვია პოლიტპატიმრის უნიფორმა წითელი სამკუთხედით, ებრაელთა განმასხვავებელი ყვითელი ზონრით, პოლონეთის აღმნიშვნელი ასოთო P და ოსვენციმში რომა ალტერის პატიმრის ნომრით A-15539. არტეფაქტების კოლექცია ასევე მოიცავს ლინა ბერზინ-ფრიდშტადტის მიერ 1944 წელს შტუტგოფის ბანაკში შეკერილ ბიუსტჰალტერს, რომლისთვისაც მან გამოიყენა კონტრაბანდული მასალები და ხელნაკეთი ინსტრუმენტები და რომელსაც იგი ატარებდა ბანაკის გათავისუფლებამდე. ლინა იყო ერთადერთი პატიმარი, რომელიც ატარებდა ბიუსტჰალტერს. ეს ქვედა საცვალი ქმნიდა უხილავ ბარიერს მის სხეულსა და პატიმრის უნიფორმას შორის, რომელსაც წაეშალა ინდივიდუალობისა და იდენტობის ყველა ატრიბუტი. გამოფენა ასევე მოიცავდა გუჩია ვალდ ტაიბლუმის მიერ მოქსოვილ სვიტრს, რისთვისაც მან გამოიყენა ხის ჯოხები და გერმანელი ჯარისკაცების წინდების მატყლი, ასევე პარაშუტის მატერიისგან შექმნილი თავშალი, რომელიც შევიდა თეოდორ ფელდმანის კოლექციაში ტერეზიენშტადტის ბანაკიდან მისი გათავისუფლების შემდეგ; როზა როზენშტრაუსის ქვედატანი ჩერნოვცის ბანაკიდან (ბუკოვინას რეგიონი), რომელიც ოჯახთან ერთად დნესტრისპირეთში გადაასახლეს, ასევე ლიპშტადტის საავიაციო ქარხანაში მომუშავე ებრაელი პატიმრების მიერ ესთერ

ფარკაშ-პატონის საპატივცემულოდ შეკერილი კაბა. მოდა იქცა გამოხატვის საშუალებად, რომელიც ურთულეს პერიოდში იძლეოდა იმედს, განამტკიცებდა კავშირებს და ღირსებას. ესთერის ლიდერობისთვის მადლიერების გამოსახატად ახალგაზრდა პატიმრებმა საკუთარი სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენეს, რათა შეეგროვებინათ თვითმფრინავების გასაწმენდი ტილოს ნაფლეთები და შეეკერათ ხსენებული კაბა. როზა სპერლინგი და მისი ქალიშვილი მარილა ცელულოიდის ნაჭერში ინახავდნენ წითელ პუდრს და ლოყებზე ისვამდნენ მას, რათა სელექციის დროს უფრო სიცოცხლით სავსენი გამოჩენილიყვნენ და ამ გზით გადარჩენილიყვნენ საკონცენტრაციო ბანაკში სელექციის დროს. გამოფენის კიდევ ერთი ექსპონატია იეჰეკელ ფლაიშერის მიერ გაკეთებული ჩანთა, როცა იგი იმალებოდა ლიტვის ტელსიას რეგიონში, რომლისთვისაც მან გამოიყენა თავისი სახლიდან, შიშულიაი გეტოდან, წამოღებული ინსტრუმენტები და ტყავის ნაჭრები, ასევე სოსნოვიცეელი (პოლონეთი) ბრაინდელ გიტლერის მიერ ლანგენბიელაუს ბანაკიდან გათავისუფლების შემდეგ შეკერილი ღამის პერანგი: პირველი სამოქალაქო სამოსი, როგორც ომის დასრულების, ტყვეობიდან თავისუფლებისკენ მიმავალი გზის სიმბოლო და ახალი მომავლის საწინდარი, ასევე ზმირა აბუკასის მიერ ლიბიაში შექმნილი საათი, რომელიც მან პურის ნაჭერზე გადაცვალა ბერგენ-ბელზენში ჩასვლის შემდეგ.

სადაც ფქვილია, იქ მოდაა.

გამოფენის მეოთხე სექცია სახელწოდებით „სადაც ფქვილია, იქ მოდაა“ მოგვითხრობს არატრადიციული შემოქმედებითი გადაწყვეტილებების ისტორიას. ათწლეული მეორე მსოფლიო ომამდე ასოცირებულია „დიდი დეპრესიის“ სახელით ცნობილ გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთან, რომელიც გამოიწვია 1929 წლის კოლაფსმა აშშ-ის აქციების ბირჟაზე. ოჯახებს ძირითადი მოხმარების საგნებზე თუ ჰყოფნიდათ სახსრები, ასევე შეიმჩნეოდა სამოსის მძაფრი დეფიციტი. მოსავალი მდგომარეობდა თეთრი ბამბის ტომრებში, რომლებსაც ოდესღაც იყენებდნენ ფქვილის, ხორბლისა თუ სიმინდის შესანახად. ქალებმა ახალი ფუნქცია შესძინეს ამ ტომრებს, როგორც მასალას სამოსის შესაკერად. მეორე მსოფლიო ომის დროს საფეიქრო კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა. შესაბამისად, მოთხოვნაც ბამბის ტომრებზე საგრძნობლად გაიზარდა. აცნობიერებდნენ რა ამ

მოთხოვნას, მწარმოებლებმა დაიწყეს ყვავილების, პეპლებისა და გულების გამოსახულებებით შემკული ფერადი ტომრების გამოშვება, რაც მძიმე რეალობასთან თვალშისაცემ კონტრასტს ქმნიდა. ტომრებს ასევე ერთვოდა ბროშურები მოდის თემატიკაზე აგებული ილუსტრაციებით და შაბლონებით ნებისმიერი სახის სამოსის შესაკერად, დაწყებული კაბებით და დამთავრებული წინსაფრებით და თოჯინების ტანისამოსითაც კი. ეს დამატებითი ელემენტები მიუთითებდა კომერციული კომპანიების მონაწილეობაზე პატრიოტულ ძალისხმევაში, შიდა ფრონტის მხარდასაჭერად ინოვაციური მეთოდების გამოყენებასა და მოსახლეობის სულისკვეთების ამაღლებაზე. საყოფაცხოვრებო ქსოვილების მოდურ ნივთებად გარდაქმნის უნარი იძლეოდა ომის პერიოდის სიდუხჭირის ფონზე შემოქმედების და სილამაზის წარმავალი მომენტების შეგრძნების შესაძლებლობას.

„გასაოცარია, თუ რამდენად აქტუალური იყო მოდის ინდუსტრიის მდგრადობის საკითხი ომის პერიოდში, – აღნიშნავს იაარა კეიდარი, – შეძენიდან მალევე ნაწარმს არავინ აგდებდა. ნაცვლად ამისა, გოგონები სწავლობდნენ სამოსის კერვასა და საკერებლების დადებას. აქტიურად გამოიყენებოდა საღებავების კომპლექტები ფეხზე არარსებული ტრიკოტაჟის ნაწარმის დასახატად. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი შთაგონების წყაროა“.⁴

ცხოვრება ომის შემდეგ

გამოფენის მეხუთე ნაწილი სახელწოდებით „ცხოვრება ომის შემდეგ“ წარმოდგენილია დიდ დარბაზში. მარჯვენა მხარეს, ადრიატიკის ზღვისა და მის გარშემო მდებარე ქვეყნების დიდი ზომის ოვალური რუკის ფონზე, სხვადასხვა სიმაღლის პოდიუმზე დგას ექვსი ქალი-მანეკენი სახასიათო Victory Rolls ვარცხნილობით. მათ აცვიათ გვიანი 1940-იან წლების მოდური სამოსი: აბრეშუმის ბლუმები, ქვედატანები, კაბები და განიერი შარვლები. ამ პრაქტიკულ ნივთებს გამოარჩევს მათი დეკორატიული გაფორმება: სხვადასხვა მასშტაბის სამხედრო რუკები, რომლებიც ტრაფარეტული ბეჭდვის მეთოდით იყო შესრულებული.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აბრეშუმისგან შექმნეს „გაქცევის გეგმა/რუკა“, რომელიც სპეციალურად შემუშავდა მტრის ზურგში მებრძოლი პილოტებისა და ჯარისკაცებისთვის. კაცობრიობის ისტორიაში აბრეშუმი ყოველთვის იყო ასოცირე-

ბული მეფის ძალაუფლებასა და მაღალ საზოგადოებრივ წრეებთან. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწერა ამ ისტორიის ახალი თავი. მისი სიმსუბუქე, გლუვი ზედაპირი და წარმოების უნიკალური მეთოდები სასარგებლო აღმოჩნდა სამხედრო წარმოებისთვის. ხსენებული გაქცევის გეგმისთვის აბრეშუმის შერჩევას რამდენიმე მიზეზი აქვს: იგი წყალგაუმტარია, რღვევისაგან დაცული, ხმარებისას „ჩუმი“, კომპაქტურად იკეცება და მარტივად შეიძლება დაიმალოს სამოსის თუ ფეხსაცმლის ქუსლში. ომისშემდგომ ბრიტანეთში ქსოვილების დეფიციტისა და პროდუქტების ნორმირების (ტალონები) პოლიტიკის პირობებში წახალისებული იყო მასალების ხელახლა გამოყენება. განსაკუთრებული მოთხოვნით ამ მხრივ გამოირჩეოდა გაქცევის გეგმები. მათ წარმოებაში გამოყენებული აბრეშუმი არ ითვლებოდა ნედლეულად და, შესაბამისად, თავისუფლდებოდა ნორმირების პოლიტიკის შეზღუდვებისგან. აბრეშუმის რუკები იქცა ნამდვილ საგანძურად ქალებისთვის, რომელთაც სურდათ თავიანთი ტანსაცმლის მარაგის განახლება და შევსება მოდური პროდუქციით. ის, რაც ოდესღაც წარმოადგენდა მტრის ტერიტორიიდან გაქცევის საიდუმლო ინსტრუმენტს, ახლა იქცა კაბებად: გაქცევის მარშრუტების მონიშვნის ნაცვლად, ისინი ახლა მიუთითებდნენ უსაფრთხო თავშესაფრისკენ.

დარბაზის მარცხენა მხარეს ორი მოზრდილი ვენტილატორი ჰაერით ავსებს თეთრ პარაშუტს, რომლის წინ სხვადასხვა სიმაღლის ექვს პლატფორმაზე დგანან პარაშუტის ქსოვილისგან შეკერილი, ელევანტურ საქორწინო კაბებში გამოწყობილი ქალი-მანეკენები. კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რომ საქორწინო კაბა ყოველთვის ასრულებდა ცენტრალურ როლს ქორწილის რიტუალში. 1840 წელს დედოფალმა ვიქტორიამ თავისი ქორწილისთვის შეარჩია თეთრი კაბა, რითაც ამ ფერის სამოსი საკულტო რანგში აიყვანა. მანამდე კი თეთრი ფერი დასავლეთში ასოცირებული იყო უცოდველობასა და სიწმინდესთან, ხოლო დედოფლის გადაწყვეტილებამ მას პრესტიჟი და ნათელი მომავლის იმედის სიმბოლოს სტატუსი შეჰმატა.

მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, მაგრამ მისი შედეგები შიდა ფრონტზე თვალშისაცემი იყო მისი დასრულების შემდეგაც კი, რაც გამოიხატებოდა ნედლეულის მუდმივ დეფიციტში. კერძოდ,

4 HOVAV, Two Stylish, 2025.

საფეიქრო ინდუსტრია განიცდიდა აბრეშუმის დეფიციტს, რომლის დიდი ნაწილი ომის დროს იქნა გამოყენებული პარაშუტების დასამზადებლად. აბრეშუმზე და საღამოს კაბისთვის გამოყენებულ სხვა ქსოვილზე შეზღუდული წვდომის გათვალისწინებით, ბევრი ქალი იძულებული გახდა, ეპოვა ტრადიციული საქორწინო კაბის შემოქმედებითი ალტერნატივა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვარიანტი იყო პარაშუტის მატერიის გამოყენება. მომავალ ქმრებს ხშირად მიჰქონდათ სახლში თავიანთი პირადი პარაშუტები და რიგ შემთხვევებში ეს მასალა წარმოადგენდა სხვადასხვა ქარხანაში დარჩენილ ჭარბ ნედლეულს. პარაშუტების უმრავლესობას ეტყობოდა ლაქები, იყო გახეული ან გაჭრილი, რაც ამ ნაკლოვანებების დასამალად კერვის შემოქმედებით მეთოდებს ითხოვდა. ქორწილში პატარძლებს ეცვათ კაბები წარწერით „წარმოებულია აშშ-ში“. ეს გახლდათ კაბაზე „გამოყოლილი“ პარაშუტის იარაღი. სიყვარულმა დაამარცხა გაჭირვება და სიდუხჭირე, შეაკოწიწა რა სამხედრო მასალის ნარჩენები და გარდაქმნა ისინი საერთო ოცნებებად და იმედიანი მომავლის ახალ დასაწყისად.

მართალია, მშვიდობიან ცხოვრებაში ახალი დასაწყისის სურვილი მკვეთრ წინააღმდეგობაში იყო ნედლეულის მწვავე დეფიციტთან, მაგრამ ასეთ პირობებში გამოჩენილმა საზრიანობამ და ინიციატივამ გამოიწვია ისეთი დიზაინების შექმნა, რომლებიც შემდგომში ახალი ეპოქის სიმბოლოდ იქცნენ. პარაშუტის მატერიისა და აბრეშუმზე დაბეჭდილი მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გაქცევის რუკებიდან შექმნილი საქორწინო კაბები და სხვა სამოსი იქცა ოპტიმიზმისა და განახლების იმედის გამოხატულებად.

Gottex - ლეა გოტლიბის ისტორია

გამოფენის მე-6 ნაწილი: „Gottex - ლეა გოტლიბის ისტორია“ წარმოადგენილია საცურაო აუზის სახით, რომლის კიდეებზე დგანან ქალი-მანეკენები მრავალფეროვან საცურაო კოსტიუმებში. ისინი ისვენებენ, ირუჯებიან, აკეთებენ იოგის ვარჯიშებს, ემზადებიან წყალში ჩასაშვებად ან უბრალოდ ნელ-ნელ ჩადიან აუზში სპეციალური კიბეების მეშვეობით.

ლეა გოტლიბმა (1918–2012) გამოიარა ჰოლოკოსტი, 1949 წელს ოჯახთან ერთად წავიდა ემიგრაციაში ისრაელში, შემდგომში იქცა ერთ-ერთ ნოვატორ დიზაინერად და 1956 წელს დააარსა Gottex - საცურაო კოსტიუმების მწარმოებელი იმ-

პერია. მისი ინოვაციური დიზაინები პოპულარული გახდა ადგილობრივ ბაზარზე და ადგილი მოუპოვა ისრაელს მსოფლიოს დიზაინერულ რუკაზე. მაღევე მისი ინტელექტუალური და შემოქმედებითი გარჯისა და შრომის ნაყოფმა - კომპანიამ Gottex თავბრუდამხვევ წარმატებას მიაღწია, მოიპოვა რა საყოველთაო აღიარება. შედეგად, გოტლიბის პოპულარული დიზაინები ამშვენებდნენ წამყვანი უნივერსალების თაროებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. როგორც ისრაელელი მოდის დიზაინერების პირველი თაობის გამოჩენილი წარმომადგენელი, ლეა გოტლიბი 90 წლის ასაკამდე ყოველწლიურად აცნობდა აუდიტორიას თავისი საცურაო კოსტიუმების ახალ-ახალ კოლექციებს. პოპულარობის ზენიტში მყოფი Gottex-ის იმპერიის საცურაო კოსტიუმები იყიდებოდა საუკეთესო უნივერსალებში და ამშვენებდა ისეთი ცნობილი ქალების სამოსის გარდერობს, როგორიცაა პრინცესა დიანა, ასევე სუპერმოდელები: კლაუდია შიფერი და ნაომი კემპბელი.

ნაყოფიერი კარიერის განმავლობაში ლეა გოტლიბის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა ტრადიციული სამოსები მთელი მსოფლიოდან, ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მისი მშობლიური მხარის - უნგრეთის მდიდარ ლანდშაფტს და მრავალფეროვან სამოსებს. კოლექცია The Czárdás (1991), რომლის სახელწოდება მომდინარეობს ტრადიციული უნგრული ცეკვიდან, ეძღვნება სპეციფიკურ სამოსს მდინარე დუნაის პირას მდებარე ქალაქ კლაჩეიდან. ეს რეგიონი ცნობილია დახვეწილი ნაქარგებით, რომლებშიც ფერის ტონი აღნიშნავს მისი მფლობელის ვინაობასა და წარმომავლობას. ამ ნათელი და ოპტიმისტური კოლექციის ფარგლებში გოტლიბმა ერთმანეთს შეუხამა ტრადიცია და ინოვაცია: რთული ნაქარგი ჩაანაცვლა ბეჭდური ნაწარმით და შექმნა ეთნიკური მოტივებისა და თანამედროვე ენის ნაზავი. კოლექცია The Czárdás წარმოადგენს გოტლიბის ერთ-ერთ ყველაზე „ცოცხალ“ და ოპტიმისტურ ნამუშევარს.

კოლექცია „ოქროს იერუსალიმი“, რომელსაც (1992) განსაკუთრებული ადგილი ეკავა ლეა გოტლიბის გულში, წარმოადგენს მისი ნამუშევრების გაცნობიერების გასაღებს. წლების განმავლობაში იგი სთავაზობდა აუდიტორიას ამ თემის მუდმივად განახლებად ვერსიებს, თუმცა ყოველთვის ინარჩუნებდა თავის სახასიათო ვიზუალურ ენას. ოქროსფერ და თეთრ ფერში გადაწყვეტილი ეს კოლექცია მოიცავს ებრაული სიმბოლოების: და-

ვითის ვარსკვლავისა და მენორას კომბინაციებს. შთაგონების წყაროდ ამ შემთხვევაში გვევლინება „ოქროს ქალაქი“ – ლეგენდარული სამკაული, რომელზეც ამოკვეთილია იერუსალიმი. ეს სამკაული რაბი აკივამ მიართვა თავის მეუღლეს – რეიჩელს სულიერების მადლიერების ნიშნად სამყაროში მოგზაურობის დროს მხარდაჭერისთვის. ფირუზისფერი მძივები და მოოქროვილი ელემენტები ჩაქსოვილია საცურაო სამოსისთვის უჩვეულოდ რთულ დიზაინში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოლექცია განკუთვნილი იყო უფრო გამოფენისთვის, ვიდრე ყოველდღიური გამოყენებისთვის. ეს კოლექცია, რომელშიც თავმოყრილია შემოქმედებითი ექსპრესია, მოდასთან დაკავშირებული მისწრაფებები და კულტურული მემკვიდრეობა, წარმატებით იყო წარმოდგენილი პოდიუმებზე მთელ მსოფლიოში. 2013 წელს, ჰოლონის დიზაინის მუზეუმში საიუბილეო გამოფენისთვის მომზადების პროცესში, მისმა კურატორმა, მოდის დიზაინერმა – აიალა რაზმა აღმოაჩინა დამალული საგანძური: გოტლიბის საძინებლის კომოდის უჯრებში შენახული ყოფილა 30-ზე მეტი ნიმუშისგან შემდგარი ძვირფასი კოლექცია. ეს ნიმუშები, ებრაული ლოცვების წიგნთან ერთად, სათუთად იყო დაკეცილი და მზრუნველი ხელით შეხვეული თხელ ქალაქში. ამ აღმოჩენამ ნათელი მოჰფინა გოტლიბის ღრმა პატივისცემას და მოწიწებას იერუსალიმის მიმართ, რითაც იგი ეხმიანება რაბი აკივას ხსენებულ ჟესტს.

1998 წელს ევროპაში მოგზაურობამ ის შთაგონა შეექმნა კოლექცია ნეფერტიტის თემაზე, რადგან ამ ექსპონატებმა უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დიზაინერზე. ფირუზისფერ-მწვანე კოლექციაში „ნეფერტიტი“ (1999) შევიდა ოქროსფერი, ვერცხლისფერი და ფირუზისფერი ლითონის კილიტა, შერწყმული ქსოვილში ჩაქარგულ მძივებთან, რითაც კიდევ უფრო ხაზგასმულია ფერთა ბრწყინვალეობა. ეს კოლექცია მოწმობს ლეა გოტლიბის უნარს, გარდაქმნას მხატვრული შთაგონება ხასხასა ექსპონატებად და ამ პროცესში ერთმანეთს შეუხამოს ტრადიციული რეწვა და ქსოვის ინოვაციური მეთოდები.

საცურაო სამოსისთვის ერთ-ერთი კოლექციიდან, რომელიც ამშვენებდა აუზის შუაგულის თავზე თითქოს მოლივლივ მანეკენებს, გამოყენებულია ყვითელგულიანი თეთრი გვირილის ფორმის მაქმანის ქსოვილი. ლეა გოტლიბი ხშირად იყენებდა

ამ ყვავილს თავის ნამუშევრებში და ამას თავისი მიზეზი აქვს. იად ვაშემის მუზეუმში მან ერთხელ განაცხადა, რომ გვირილებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მის გადარჩენაში. იძულებითი შრომის ბანაკში მეუღლის მოსანახულებლად მისულს, მას ყოველთვის მიჰქონდა გვირილების დიდი თაიგული, რომელიც ლეას უფარავდა ყვითელ სამკლავურს – მისი ებრაული წარმოშობის დამადასტურებელ ატრიბუტს. დროთა განმავლობაში გვირილა იქცა მის საყვარელ სიმბოლოდ, რომელმაც მთელი ცხოვრების მანძილზე შემოუნახა მას ომისდროინდელი მოგონებები. როგორც მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით პოპულარული ყვავილი, გვირილა გოტლიბის ბიოგრაფიაში განასახიერებს საზრიანობასა და გადარჩენის იმედს. გვირილა ხშირად გვხვდება მის კოლექციებში და წარმოაჩენს ყვითელს, როგორც სიცოცხლისა და ოპტიმიზმის ფერს.

„სხვადასხვა საგამოფენო სივრცეში ექოდ ისმის ფუნდამენტური შეკითხვა: რა როლს ასრულებს მოდა, როცა მსოფლიო წყვდიადში იძირება? გამოფენის ფარგლებში წარმოჩენილი სამოსი და აქსესუარები ერთგვარად აჯამებენ შინაგანი სიმტკიცის, შეუძლებლის შეძლების და ადამიანურობის შენარჩუნების გაბედული გადაწყვეტილების პირად ისტორიებს, რომლებიც კონცენტირებულია ერთ საერთო ელემენტზე: მოდის უნიკალურ, მაცოცხლებელ ძალაზე, მის ფარულ შარმზე და მარადიულ მიმზიდველობაზე. ეს გამოფენა გვაძლევს საშუალებას, გავითავისოთ ეს ისტორიები, შევხედოთ მათ დროის ლინზების ქვეშ და ვიპოვოთ შთაგონება, ხედვა და ჰუმანურობის სულისკვეთების რწმენა. ამ პირადი ამბების გვერდით მოდა წარმოჩენილია, როგორც სამოქმედო გეგმა, რომელიც განამტკიცებს ერის ზნეობას და ასაზრდოებს ეროვნული კუთვნილების განცდას, აგულიანებს რა მოქალაქეებს შიდა ფრონტზე და მეზობლებს წინა ხაზზე და აგზავნის სიყვარულის და ნათელი მომავლის გზავნილს.“⁵ 2023 წლის 7 ოქტომბრის გმირი ქალების პატივსაცემად

გამოფენის დასკვნითი, მეშვიდე სექცია სახელწოდებით „2023 წლის 7 ოქტომბრის გმირი ქალების პატივსაცემად“ განთავსებული იყო მუზეუმის მიმდებარე დიზაინის ლაბორატორიაში და ეძღვნებოდა 2023 წლის 7 ოქტომბრის მოვლენების მსხვერპლ ქალებს, როცა განხორციელდა თავდასხმა ფესტივალ NOVA-ს მონაწილეებზე. სამო-

5 Fashion and Hope.

ქალაქო თუ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გოგონების დიდი ზომის ფოტოსურათებს ახლავს მათი ისტორიების მოკლე აღწერა და გამოფენის დამთვალეირებელთა ათასობით სამახსოვრო ჩანაწერი ებრაულ, ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე. 2023 წლის 7 ოქტომბერმა შეარყია ჩვენი არსებობის საფუძვლები. გამოფენის მსვლელობაში წარსულის მოგონებები იქცა ხიდად აწმყოში, ხოლო დიდი ხნის განმავლობაში დამალული ისტორიები გაცოცხლდა. წარსულის გმირი ქალები კი შეხვდნენ დღევანდელი გმირ ქალებს.

გამოფენა „გმირი ქალების“ ფარგლებში გამოკვლეულია, თუ რა როლს ასრულებდნენ სამოსი და აქსესუარები იმ ქალთა ისტორიებში, რომლებმაც შეძლეს ომის რეალობის მორევში სწორი გზის აღება, მტრულ გარემოში ადამიანურობის და იმედის შენარჩუნება. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები განასახიერებენ ადამიანის სიმტკიცეს და ჰუმანურობის სულისკვეთებას. გამოფენა მოიცავს ათობით დასრულებულ სამოსს და ასობით აქსესუარს, ასევე ვიდეო და ფოტომახას, რომლებშიც მოთხრობილია ქალთა ისტორიები მეორე მსოფლიო ომის დროს.

როგორც იაარა კეიდარი აღნიშნავს, სამოსი არ აყალიბებს ადამიანს, თუმცა გაჭირვების ჟამს მისი წყალობით ჩვენ შეგვიძლია, ვიცინებოთ უკეთეს მომავალზე. ქსოვილის, ნედლი მასალის, ოსტატობის მცირედ დეტალებშიც კი სიზუსტისა და წარმოსახვის უნარის ერთიანობა ასაზრდოებს იმედს და იძლევა უსაფრთხოების შეგრძნებას. სამოსი და სხვა საგნები გვევლინებიან, როგორც იმედისა და ადამიანის სიმტკიცის სიმბოლოები, და შეგვახსენებენ, რომ ჩვენ შეგვიძლია გავძლიერდეთ მათი დახმარებით და ვიქონიოთ მომავლის რწმენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი სამოსი და მოდის აქსესუარები მოგვითხრობენ ადამიანთა შინაგანი ძალისა და იმედის, თითქოს შეუძლებელ სიტუაციებში გამძლეობის და ადამიანურობის გამბედავი არჩევანის ისტორიებს, რომლებიც ადასტურებენ მოდის სიცოცხლისუნარიანობას: მისი მომხიბვლელობისა და შარმის საიდუმლოს. ეს გამოფენა გვაძლევს საშუალებას, შევხედოთ მათ სივრცისა და დროის მიღმა, როგორც შთაგონების, რწმენისა და ადამიანურობის წყაროს. პირადი ისტორიების გარდა, მოდა ასევე წარმოჩენილი, როგორც ეროვნული სულისკვეთების გაძლიერების, შიდა ფრონტზე მუშაკთა და წინა ხაზზე მებრძოლთა

წახალისების და უკეთესი მომავლის რწმენის საფუძველი. გამოფენა „გმირი ქალები“ წარმოადგენს კურატორის კვლევას, რომელიც ხაზს უსვამს სამოსის დიზაინის ძალას, როგორც იმედის, ორიგინალურობისა და სიმტკიცის სიმბოლოს მეორე მსოფლიო ომის დროს.

დასკვნა

თანამედროვე კულტურულ პრაქტიკასა და დისკურსში კურატორობა კულტურისა და ხელოვნების პრაქტიკულად მთელ სფეროს მოიცავს. კურატორის საქმიანობა დღეს ინტერდისციპლინურ სფეროს წარმოადგენს და აღარ შემოიფარგლება მხოლოდ მხატვრული პროექტების შექმნით; იგი აერთიანებს თეორიულ კვლევას, ანალიზს, კრიტიკას, საგანმანათლებლო საქმიანობასა და სხვა მრავალ მიმართულებას.

თანამედროვე კურატორული და მხატვრული პრაქტიკის ამოსავალ წერტილად სულ უფრო მეტად გვევლინება კრიტიკისა და მოქმედების ერთიანობა, რომელიც აჩენს ახალ კითხვებს და ხშირად პროფესიული თუ საზოგადოებრივი დისკუსიის საფუძველს ქმნის.⁶

კურატორული პრაქტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ახალი მნიშვნელობებისა და ინტერპრეტაციების გენერირება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში წამყვან კურატორულ სტრატეგიად ჩამოყალიბდა კურატორული კვლევა, რომელიც პირობითად თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებად იყოფა.

კურატორული კვლევის თეორიული კომპონენტი მოიცავს ხელოვნების ისტორიის, ხელოვნების ნიმუშების, დოკუმენტური და საინფორმაციო მასალების შესწავლას, აგრეთვე დისკუსიებსა და პროფესიულ განხილვებში მონაწილეობას. პრაქტიკული კომპონენტი კი გულისხმობს მუშაობას მხატვართა სახელოსნოებში, გალერეებში, გამოფენებსა და სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებაზე, ასევე შეხვედრებს მხატვრებთან, ხელოვნებათმცოდნეებთან, კურატორებთან და ხელოვნების კრიტიკოსებთან.

კურატორული კვლევის საბოლოო შედეგი, დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, შეიძლება იყოს შემოქმედებითი ღონისძიების, საგამოფენო პროექტის, თანამედროვე ხელოვნების კონცეფციის, სიმპოზიუმის ან სამეცნიერო პუბლიკაციის იდეისა თუ კონცეფციის ჩამოყალიბება.

6 KENINSBERG, 2023.

გამოყენებული ლიტერატურა:

- HOVAV Ofir, Two Stylish Jewish Women, Only One Survived the Holocaust and Became a Fashion Icon. <https://www.haaretz.com/life/2025-04-20/ty-article-magazine/premium/two-stylish-jewish-women-only-one-survived-the-holocaust-and-became-a-fashion-icon/00000195-f56a-dfc7-a5dd-f5fab5830000?v=1746105395989> 04/08/2026
- Fashion and Hope in World War II. <https://www.dmh.org.il/en/exhibitions/heroines/> 04/08/2026
- KENIGSBERG Ekaterina, Curatorial Strategies in the Contemporary Visual Art of the Second Half of the 20th and Early 21st Centuries. Minsk: BSAA, 2023
- STEINBERG Jessica, Fashion exhibit looks at design as symbol of hope during World War II, The Times of Israel. <https://www.timesofisrael.com/fashion-exhibit-looks-at-design-as-symbol-of-hope-during-world-war-ii/> 04/08/2026

International Journal of Arts and Media Researches - #6 (16) 2026
<https://doi.org/10.52340/ijaamr.2026.6.16.30>

“HEROINES” – AN EXHIBITION-STUDY OF WOMEN’S FASHION AND THE ROLE OF WOMEN DURING WORLD WAR II

Ekaterina Kenigsberg

Keywords: exhibition, curator, research, Ya’ara Keydar, World War II, fashion, Design Museum Holon

From 31 March 2025 to January 2026, the Design Museum Holon (Israel) will host Ya’ara Keydar’s curatorial exhibition-study “Heroines”. The curator explores the history of fashion and clothing through the lens of World War II. Ya’ara Keydar spent a long time collecting stories about how fashion and clothing empower people in the darkest moments. The result of her many years of work is the exhibition “Heroines”.

